ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5615095

ნომერი: AR1848778

თარიღი : 21.09.2021

გაცემის თარიღი : 28.09.2021

გაცნობის თარიღი : 28.09.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი , N 27ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი თოდუა პ/ნ 39001011065
- ქ.თბილისი, მიცკევიჩის 27ბ

ორგანიზაცია:
- შპს ლიდერ გრუპი კოდი: 205275165

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 21 სექტემბრის №AR1848778 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 21 სექტემბერს №AR1848778 განცხადებით მომართა დიმიტრი თოდუამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 02 ივლისის №5483143 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 02 ივლისის №5483143 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ადამ მიცკევიჩის ქუჩა №27ბ-ში, შ.პ.ს. "ანრი 2005"–ის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.14.015.035), საოფისე შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 02 ივლისიდან 2022 წლის 02 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 02 ივლისის №5483143 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საოფისე ფართობი 3236.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3806.3 კვ.მ., კომერციული ფართობი 383.6 კვ.მ-ის ნაცვლად 683.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 717.7 კვ.მ-ის ნაცვლად 337.0 კვ.მ., დამხმარე ფართობი 6.1 კვ.მ-ის ნაცვლად 28.8 კვ.მ., საერთო ფართობი: 5130.6 კვ.მ-ის ნაცვლად 5642.8 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5559792 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაუდგენელია რომელი ფართი სად არის შეყვანილი. ამასთან, -2.90 ნიშნულის გეგმაზე კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში შეყვანილ უნდა იქნას ლიფტის შახტის ფართობი (სხვა ნიშნულის გეგმებზე ლიფტის შახტის ფართობი არ არსებობს (სიცარიელეა) შესაბამისად არც ერთ ფართობში არ შედის). კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში ასევე შეყვანილ უნდა იქნას დერეფნების ფართობები. გარდა ამისა, დამხმარე ფართობში შეყვანილ უნდა იქნას საერთო სარგებლობის სველი წერტილები (რომელთაც შესასვლელი გააჩნიათ კიბის უჯრედიდან). ასევე, საჭიროა +3.35 ნიშნულის და სახურავის გეგმებიდან წაშლილ იქნას მასზე დატანილი ფართობების მაჩვენებლები (142.6 კვ.მ და 647.0 კვ.მ.). ასევე, გეგმებზე დატანილი საოფისე ფართობების ჯამური მაჩვენებელი და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობის მაჩვენებელი ერთმანეთთან შეუსაბამოა.

აქვე განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1. დააზუსტოს მოთხოვნა საოფისე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.

1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2021 წლის 02 ივლისის №5483143 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები გეგმარების შეცვლის გარეშე, შესწორებული ფართობების დატანით და სხვადასხვა ფუნქციის ფართობის სხვადასხვა ფერით მონიშვნით.

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2021 წლის 21 სექტემბერს №AR1848778 განცხადება დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge